

## **„რუსეთი აფხაზეთიდან 600 ათას ტონა ინერტულ მასალას გაიტანს“**

რუსეთი ოკუპირებული აფხაზეთიდან 600 ათას ტონა ინერტულ მასალას გაიტანს. შესაბამის შეთანხმებას მხარეებმა ხელი უკვე მოაწერეს. ამის შესახებ დე-ფაქტო ეკონომიკის მინისტრმა ადგურ არძინბამ განაცხადა.

როგორც ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრმა, განაცხადა, ინერტული მასალების გატანა წელსვე იგეგმება. მისი თქმით, პროდუქციის ექსპორტირებას წლების განმავლობაში ვერ ახერხებდნენ, ამიერიდან კი ფანჯარა გაიჭრება და პროცესს სხვა აფხაზეთი კომპანიებიც შეუერთდებიან.

"ჩვენი პროდუქცია ხარისხიანი და კონკურენტუნარიანია. ვფიქრობ, მოცულობები კიდევ უფრო გაიზრდება", – განაცხადა ადგურ არძინბამ.

დე ფაქტო მინისტრი აცხადებს, რომ იგეგმება ულიანოვის ავტოქარხნის საავტომობილო ტექნიკის ჩატანა ოკუპირებულ აფხაზეთში.

---

27.10.2017<http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20171027/1022246557/ardzinba-abxaziya-postavit-v-rossiyu-600-tysyach-tonn-inertnyx-materialov.html>

## **„აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის სპეციალიზებული საბაჟო საგუშაგო ამოქმედდა“**

1 ნოემბრიდან ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის სპეციალიზებული საბაჟო ორგანო – ე.წ. აფხაზეთი საბაჟო საგუშაგო ამოქმედდა.

როგორც რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, აფხაზეთი საბაჟო საგუშაგო აფხაზეთის ტერიტორიაზე და მრავალმხრივ საავტომობილო გამშვებ პუნქტ „ადლერზე“ იმოქმედებს.

“ახალი საგუშაგო სპეციალიზებული საბაჟო ორგანოა, რომელიც რუსეთის ფედერალურ საბაჟო სამსახურს ექვემდებარება, მისი კომპეტენციები კი შემოიფარგლება ცალკეული უფლებამოსილებებით საქონლის შეზღუდული სახეობების მიმართ ოპერაციებისა და პროცედურების განსახორციელებლად. ეს ჩამონათვალი რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის მიერ აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო საბაჟო კომიტეტთან შეთანხმებით განისაზღვრება” – ნათქვამია ოფიციალურ ინფორმაციაში.

როგორც რუსეთის ფედერალურ საბაჟო სამსახურში განმარტავენ, ე.წ. აფხაზეთი საბაჟო საგუშაგო შეიქმნა “შეზღუდვებისა და აკრძალვების განხორციელების უზრუნველსაყოფად იმ საქონლის მიმართ, რომელიც საბაჟო საზღვარზე გადაადგილდება, ასევე რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობისა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წესების დაცვისათვის, ოკუპირებული აფხაზეთის საბაჟო ორგანოებთან ურთიერთქმედებისათვის სამართალდაცვით სფეროში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების, მათი პრეკურსორების, იარაღის, კულტურული ფასეულობების, რადიოაქტიური ნივთიერებების, გადამწებების პირას მყოფ ცხოველთა და მცენარეთა რიგი სახეობებისა და სხვა საქონლის უკანონო ბრუნვის აღსაკვეთად”.

---

01.11.2017<http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20171101/1022292899/fts-rossiii-sozdalo-abxazskij-tamozhennyi-post.html>

## **„სოფელ თავილონის საბაჟო სკოლა დაიხურა“**

გალის რაიონის სოფელ თავილონში, რომელშიც 23 ბავშვი სწავლობდა დე-ფაქტო ხელისუფლებამ საბაჟო სკოლა დახურა. ბრძანება სკოლის დირექტორს ჯერ არ მიუღია, თუმცა რაიონის წარმომადგენლობამ მოსწავლეები და მასწავლებლების ნაწილი თავილონისა და ნაბაკევის საშუალო სკოლებში უკვე გადაანაწილეს. ინფორმაციას ოკუპირებული აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ბესიკ ოდიშარია ადასტურებს.

ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ თავილონის საბაჟო სკოლაში (9 კლასი), სექტემბრის მდგომარეობით, 23 ბავშვი სწავლობდა და 12 პედაგოგი მუშაობდა.

ე.წ. ოპტიმიზაციის შედეგად, 15 მოსწავლე ჩაირიცხა თაგილონის საშუალო სკოლაში 8 მოსწავლე სოფ. ნაბაკევის მე-13 სკოლაში. სხვადასხვა სკოლებში გადაანაწილეს მასწავლებლებიც. თუმცა, 5 მათგანის სხვა სასწავლებელში გადაყვანის საკითხი გადაწყვეტილი არ არის, რადგან ისინი საპენსიო ასაკის არიან.

---

15.11.2017 <https://1tv.ge/ru/news/v-sele-tagiloni-okkupirowannogo-galskogo-raiona-zakryli-bazovuju-shkolu/>

### **„სოხუმში რუსული ბიომეტრიული პასპორტების გაცემა დაიწყო“**

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის საელჩომ რუსული ბიომეტრიული პასპორტების მისაღებად საჭირო დოკუმენტების მიღება დაიწყო. ამის შესახებ სოხუმში მოსკოვის წარმომადგენლობის მდივანმა ტურალ ჯავადოვმა განუცხადა.

მისი თქმით, რუსული ბიომეტრიული პასპორტები მნიშვნელოვნად გაამარტივებს უცხოეთის, მათ შორის, შენგენის ზონის ქვეყნებში გასამგზავრებლად საჭირო პროცედურებს. ამავე ცნობით, ახალი თაობის დოკუმენტი 10 წლის ვადით გაცემა, მაშინ როდესაც, ჩვეულებრივი საზღვარგარეთის პასპორტის მოქმედების ვადა მხოლოდ 5 წელია.

რუსული ბიომეტრიული პასპორტის მიღება შეუძლია ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეს, რომელმაც თან უნდა იქონიოს დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა (გვარის გამოცვლის შემთხვევაში) და შრომის წიგნაკი.

ბიომეტრიული პასპორტის გაცემის საფასური 14 წლამდე ბავშვებისათვის 2600, ხოლო ზრდასრული მოქალაქეებისთვის – 5200 რუბლი იქნება. დოკუმენტის გაცემის ვადაა - სამი თვე.

---

16.11.2017 <http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20171116/1022411978/rossijskij-biometricheskij-zagranpasport-mozhno-poluchit-v-abxazii.html>

### **„რუსეთი აფხაზეთში მცხოვრებ თავის მოქალაქეებს სადაზღვევო პოლისებს გადასცემს“**

ოკუპირებულ აფხაზეთში მუდმივად მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები ე.წ. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის უვადო პოლისებს მიიღებენ. ამის შესახებ დე-ფაქტო ჯანდაცვის მინისტრმა თამაზ ცახნაკიამ განაცხადა.

რუსეთის მოქალაქეთა დაზღვევის ორგანიზების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას სოხუმსა და მოსკოვს შორის 2017 წლის 8 აგვისტოს მოეწერა ხელი. მისი რატიფიცირება ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტმა უკვე მოახდინა. შეთანხმება ძალაში მას შემდეგ შევა, რაც იგივე პროცედურას რუსული მხარე დაასრულებს. საუბარია რუსეთის 189 ათასი მოქალაქის სამედიცინო დაზღვევაზე, პოლისს ასევე 14 წლამდე ასაკის ბავშვები მიიღებენ, თუ ერთ-ერთი მშობელი რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარადგენს.

აფხაზური მედიის ცნობით, სოხუმში რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს დელეგაცია ჩავიდა. სამუშაო ვიზიტით განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში უნდა დადგინდეს, თუ სად განთავსდება პოლისის გაცემის პუნქტები.

---

22.11.2017 <http://abkhazinform.com/?start=20>

### **„სოხუმში ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეები ჩავიდნენ“**

სოხუმში ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეები ჩავიდნენ. გაეროს, ევროკავშირისა და ეუთოს წარმომადგენლები ანტი ტურუნენი, გიუნტერ ბეხლერი და ტაივო კლაარი ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდნენ და მორიგი მოლაპარაკებებთან დაკავშირებით მოსამზადებელი კონსულტაციები გამართეს.

შეხვედრაზე ყურადღება შოტლანდიის ქალაქ კილმარნოკში აფხაზ მეომართა ხსოვნის მემორიალის დემონტაჟის საკითხს დაეთმო.

„მინდა დაგარწმუნოთ, რომ მსგავსი ტიპის ინიციატივები დაუშვებელია და აფხაზური საზოგადოება უკიდურესად ნეგატიურად აღიქვამს ამ ინიციატენტს“, - განაცხადა დაურ კოვემ.

აფხაზურმა მხარემ დელეგაციის წევრებს ნოუწოდა გამოხატონ ოფიციალური რეაქცია ქართული მხარის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

ჟენევის დისკუსიების ახალმა თანათავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით ტოივო კლარმა კომენტარი გააკეთა:

"ძეგლებს აღმართავენ გარკვეულ დროს და გარკვეულ ადგილას. ამ თვალსაზრისით, ყველა მხარის ინტერესი უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენ ვთვლით, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, ძეგლის მთლიანობის შესანარჩუნებლად. მივმართავთ ჟენევის დისკუსიების ყველა მხარეს პატივისცემით მოეკიდონ წარსულის მემკვიდრეობას".

დაურ კოვემ ასევე აღნიშნა, რომ სოხუმის სერიოზულ შემფოთებას იწვევს ის ფაქტი რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოსთვის 75 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების Javelin-ის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების მიწოდებას დაუჭირა მხარი. მან იმედი გამოთქვა, რომ „საქართველოში შემცირდება საომარი რიტორიკის სიმძაფრე და ჟენევის დისკუსიების ფარგლებში შესაძლებელი გახდება ძალის გამოუყენებლობის შესახებ ერთობლივი განცხადების ხელმოწერა“.

ე.წ. აფხაზური მედიის ცნობით, ანტი ტურუნენმა, რომელიც ამ სტატუსით ოკუპირებულ აფხაზეთში უკანასკნელად იმყოფება, განაცხადა, რომ „ის მხარს უჭერს აფხაზეთის საგარეო უწყების ინიციატივას აფხაზეთსა და საქართველოს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერას.

ჟენევის დისკუსიების მორიგი 42-ე რაუნდი 2017 წლის 12-13 დეკემბერს გაიმართება.

---

23.11.2017<http://mfaapsny.org/ru/allnews/news/geneva-discussions/o-vstreche-s-sopredsdateljami-zhenevskikh-diskussiy/>

### **„რაულ ხაჯიმბას და ანატოლი ბიბილოვის შეხვედრა“**

ოკუპირებულ ცხინვალში ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი ჩავიდა. დე ფაქტო პრეზიდენტებმა რაულ ხაჯიმბამ და ანატოლი ბიბილოვმა დახურულ ფორმატში საათზე მეტ ხანს ისაუბრეს, მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ კი განაცხადეს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას დაუთმეს და რუსეთთან ურთიერთობის კურსი კვლავაც უცვლელია.

„სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობები მაღალ დონეზეა განვითარებული. ამას ჩვენი ქვეყნების ლიდერების ოფიციალური ვიზიტებიც ადასტურებს. საკმაოდ ეფექტურად მუშაობენ ჩვენი საელჩოები. მომავალში ჩვენს შორის ორმხრივი ურთიერთობები კიდევ უფრო მაღალ დონეზე იდგება. ისეთ დონეზე, როგორც ჩვენ, ლიდერებს გვინდა ვნახოთ და როგორც ჩვენს ხალხებს სურთ,“ - განაცხადა ბიბილოვა.

აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის თქმით, რუსეთის დახმარებით მათი "სახელმწიფოების" ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს და ეს პროცესი არ უნდა შეჩერდეს.

„რუსეთის მიერ გაწეული დახმარებით, მიმდინარეობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი. რუსეთმა ჩვენ გვადიარა და ჩვენც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფოები შედგეს. ჟენევის დისკუსიებში ჩვენ ერთიანი პოზიციის დემონსტრირებას ვახდენთ. ღიად ვაცხადებთ - ჩვენ გვეხმარებიან, მაგრამ ჩვენც უნდა შევეცადოთ, რომ ფეხზე დავდგეთ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მსოფლიოში ყველაზე დიდმა ქვეყანამ აღიარა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღიარების პროცესი უნდა შეჩერდეს. ჩვენს მთავარ ოპონენტს არ სძინავს. ყველა პროცესი, რომელიც მის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, მიუთითებს იმაზე, რომ მათ აგრესიაზე უარის თქმის სურვილი არ აქვთ,“ - აცხადებს რაულ ხაჯიმბა.

---

26.11.2017[http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT\\_ID=7032](http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=7032)

27.11.2017